საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 21 ნოემბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 86

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღ-ლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასაწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათ-ლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-3 მუხლის მე-7^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

7^1. სასცენო ხელოვნების სამსახიობო მიმართულების სპეციალობის მაპროფილებელ საგანში/საგნებში სემესტრის მანძილზე განსაზღვრული სალექციო საათების 25%-ის არასაპატიო მიზეზით გაცდენების შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება სემესტრულ გამოცდაზე და ეკისრება საგნის/საგნების განმეორებით გავლა.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მიმდინარე სემესტრული შუალედური შეფასება ტარდება მე-7 და მე-14 კვირას.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე ე. მესხია